ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

G E O R G I A

CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

განკარგულება:**გ-97. 97230815**

თარიღი:**22/03/2023**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ,,არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების“ 2023 წლის გეგმა -პროგრამის დამტკიცების და სუბსიდიის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის , მე-19 მუხლის ,,ბ'' პუნქტის, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის და ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 22 მარტის N 96-96230812 მომართვის შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი1.დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის ,,არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების “ 2023 წლის გეგმა-პროგრამა და მისი სუბსიდია განისაზღვროს 880 000 (რვაას ოთხმოცი ათასი) ლარით.

მუხლი2. განკარგულება გადაეგზავნოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ლენტეხის მაგისტრატ სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი4. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი